

სუბიექტურობა, ძალაუფლება, წინააღმდეგობა

გიორგი ღვინჯილია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის ანთროპოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი	2
შესავალი	Error! Bookmark not defined.
1. თანამედროვე ინტერპრეტაციის პრინციპები	Error! Bookmark not defined.
2. სუბიექტი და ძალაუფლება	Error! Bookmark not defined.
2.1. ძალაუფლების ეკონომია: დასჯისაგან დისციპლინირებისაკენ	Error! Bookmark not defined.
2.2. ცოდნა და ძალაუფლება	Error! Bookmark not defined.
2.3. ადამიანის სიკვდილი	Error! Bookmark not defined.
3. „პასიურიდან აქტიური სუბიექტისაკენ“	Error! Bookmark not defined.
4. თვითობის ტექნიკები	Error! Bookmark not defined.
4.1. ეთიკა და ძალაუფლება	Error! Bookmark not defined.
4.2. საკუთარი თავის ავტორი	Error! Bookmark not defined.
5. განმანათლებლობა და თვითობის ტექნიკები	Error! Bookmark not defined.
5.1. დამოკიდებულება რეალობასთან	Error! Bookmark not defined.
5.2. დამოკიდებულება საკუთარ თავთან	Error! Bookmark not defined.
დასკვნა	Error! Bookmark not defined.
ბიბლიოგრაფია	Error! Bookmark not defined.

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში ვეცდები მოკლედ მიმოვიხილო სუბიექტურობის პრობლემა მიშელ ფუკოს ფილოსოფიაში.

ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება - პირველში განხილულია ფუკოს შემოქმედების ის ნაწილი, რომელშიც მისი ანალიზის ცენტრში სუბიექტის განმსაზღვრელი ფაქტორები ხვდება.

ამ ნაწილში მიმოვიხილავ ცოდნისა და ძალაუფლების წყვილს და მათ მიმართებას სუბიექტთან, ასევე ინტერპრეტაციის თანამედროვე ტექნიკებს, რომლებიც აუცილებელია მთელი ეპისტემოლოგიური სურათის აღსაქმელად.

მეორე ნაწილში ფოკუსი სუბიექტზე და მის მიერ ძალაუფლების წინააღმდეგ განხორციელებულ წინააღმდეგობის ტექნიკებზე გადადის. აქ ფუკოს მიერ პრობლემატიზირებულ თვითობაზე ზრუნვის ბერძნულ ტრადიციასა და მოდერნულ, განმანათლებლობის სუბიექტზე ვისაუბრებ.

ნაშრომში ვეცდები დავასაბუთო, რომ ფუკოს შემოქმედების პირველ ნაწილში განხილული „ადამიანის სიკვდილი“ არასოდეს ნიშნავდა სუბიექტურობისა და წინააღმდეგობის გაქრობას მისი სააზროვნო ველიდან. მისი შემოქმედების მეორე ნაწილში მომხდარი „სუბიექტურობის დაბრუნება“ არა სუბიექტის გაქრობის შედეგად წამოჭრილი წინააღმდეგობების პასუხი, არამედ თეორიული ფოკუსის გადანაცვლება იყო.

ამასთანავე ვეცდები ვისაუბრო იმ გასათვალისწინებელი გაკვეთილების შესახებ, რომლებიც ფუკოს თეორიაში თანამედროვე წინააღმდეგობის ტაქტიკებით დაინტერესებულმა ადამიანებმა შეიძლება ამოიკოთხონ.